**კობახიძეს** ქეთევან ერმილეს ასულს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს მედიცინის დას, დიდი სამამულო ომის ვეტერანს.

**კოვალჩუკს** ვასილ მიხეილის ძეს — აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სააფთიაქო სამმართველოს სავაჭრო-საწარმოო სექტორის გამგეს.

**კორტავას** ანდრია ბესარიონის ძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური ფსიქონევროლოგიური დისპანსერის ფერშალს, დიდი სამამულო ომის ვეტერანს.

**ლაფაურს** აბრამ დავითის ძეს — თელავის რაიონული ცენტრალური აფთიაქის რეცეპტარს, დიდი სამამულო ომის ვეტერანს.

**მამარდაშვილს** ჟულიეტა ალექსის ასულს — სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის კლინიკის უფროს მედიცინის დას, დიდი სამამულო ომის ვეტერანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მამრიკაშვილს** ქეთევან დიმიტრის ასულს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული IV მთავარი სამმართველოს წყალტუბოს სანატორიუმ „წყალტუბოს" უფროს მედიცინის დას.

**მამუკაშვილს** ალექსანდრე გიორგის ძეს — თბილისის № 42 აფთიაქის პროვიზორს, დიდი სამამულო ომის ვეტერანს.

**მგელაძეს** ზინა პროკოფის ასულს — მახარაძის რაიონული ცენტრალური საავადმყოფოს მედიცინის დას, დიდი სამამულო ომის ვეტერანს.

**მელიქიძეს** ლეილა შალვას ასულს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული IV მთავარი სამმართველოს აფთიაქის განყოფილების გამგეს.

**მეტრეველს** ელენე ივანეს ასულს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული IV მთავარი სამმართველოს ბორჯომის სანატორიუმ „ბორჯომი-ლიკანის" უფროს მედიცინის დას.

**მიქატაძეს** ლილი ყარამანის ასულს — მახარაძის ბავშვთა საავადმყოფოს რენტგენოლოგიური კაბინეტის ლაბორანტს, დიდი სამამულო ომის ვეტერანს.

**მირზოევას** ლუსია მოსეს ასულს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული IV მთავარი სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის სამედიცინო დახმარების ბიუროს მედიცინის დას.

**მოლოდინაშვილს** მერი ივანეს ასულს — თბილისის ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის საავადმყოფოს მედიცინის დას, დიდი სამამულო ომის ვეტერანს.

**ოდიკაძეს** რაისა ნესტორის ასულს — ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სანეპიდსადგურის მედიცინის დას, დიდი სამამულო ომის ვეტერანს.

**ოდიკაძეს** სპირიდონ ივანეს ძეს — ბათუმის № 3 საავადმყოფოს რენტგენოლოგიური კაბინეტის ლაბორანტს, დიდი სამამულო ომის ვეტერანს.

**ურუშაძიანს** თინა ნოეს ასულს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტ წყალტუბოს № 1 პოლიკლინიკის მედიცინის დას, დიდი სამამულო ომის ვეტერანს.

**რობაქიძეს** ელენე ნოეს ასულს — ტყიბულის რაიონული ცენტრალური აფთიაქის რეცეპტარ-კონტროლიორს.

**სახანიას** ტატიანა გრიგოლის ასულს — თბილისის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს სანატორიუმ „ჯეჯილის" უფროს მედიცინის დას.

**სვირავას** დოროთე აზგიკის ძეს — ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის პოლიკლინიკის ფერშალს, დიდი სამამულო ომის ვეტერანს.

**სურგულაძეს** ეთერ ალისტრახოს ასულს — აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ბათუმის ქალაქის საავადმყოფოს ლაბორანტს, დიდი სამამულო ომის ვეტერანს.

**ქორიძეს** ქეთევან კირილეს ასულს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური ინფექციური საავადმყოფოს მედიცინის დას, დიდი სამამულო ომის ვეტერანს.

**ქორქაძეს** მიხეილ პეტრეს ძეს — თბილისის № 14 პოლიკლინიკის ფერშალს, დიდი სამამულო ომის ვეტერანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ღვინაძეს** ეკატერინე ილიას ასულს — თბილისის ფაბრიკა „საქტრიკოტაჟთან" არსებული ჯანპუნქტის გამგეს, დიდი სამამულო ომის ვეტერანს.

**შავიშვილს** ეთერ კონსტანტინეს ასულს — თბილისის № 6 ბავშვთა პოლიკლინიკის უბნის მედიცინის დას, დიდი სამამულო ომის ვეტერანს.

**შიუკაშვილს** თამარ შიოს ასულს — გურჯაანის რაიონული ცენტრალური საავადმყოფოს ექთან-მეთოდისტს, დიდი სამამულო ომის ვეტერანს.

**ჩანტლაძეს** ნორა ანდროს ასულს — ქ. თბილისის № 1 ბავშვთა პოლიკლინიკის მედიცინის დას, დიდი სამამულო ომის ვეტერანს.

**ჩიჩელაშვილს** მარგარიტა კირილეს ასულს — სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის კლინიკის უფროს მედიცინის დას, დიდი სამამულო ომის ვეტერანს.

**ცეცხლაძეს** ნური ელიასის ძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული IV მთავარი სამმართველოს ქობულეთის სანატორიუმ „საქართველოს" ფერშალს.

**ხრულევას** ნინო გიორგის ასულს — თელავის რაიონული ცენტრალური საავადმყოფოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების მედიცინის დას, დიდი სამამულო ომის ვეტერანს.

**ხუნწარიას** ელეონორა ვასილის ასულს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული IV მთავარი სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის უფროს მედიცინის დას.

**ჯიბლაშვილს** ლუსია გიორგის ასულს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული IV მთავარი სამმართველოს № 2 პოლიკლინიკის მედიცინის დას.

**ჯოლოგუას** ნინო მელიტონის ასულს — ქუთაისის მედმუშაკთა პროფკავშირის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარეს, დიდი სამამულო ომის ვეტერანს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი"**

**ბუჩუკურს** პავლე გიორგის ძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თელავის სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის მოადგილეს.

**თევზაძეს** ქენია ნოეს ასულს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ქუთაისის სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის მოადგილეს.

**ტიგიევას** ქსენია სიმონის ასულს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ცხინვალის სამედიცინო სასწავლებლის მასწავლებელს.

**ფანცულაიას** თამარ ვასილის ასულს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სოხუმის სამედიცინოს სასწავლებლის მასწავლებელს.

**შანიძეს** მანანა შალვას ასულს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ბათუმის სამედიცინო სასწავლებლის მეთოდისტს.

**ხუნდაძეს** მარგარიტა ნეოფიტეს ასულს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მეთოდური კაბინეტის უფროს მეთოდისტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



„საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტერი“

**იაშვილს** ვენერა გალაქტიონის ასულს — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის უფროს ბუღალტერს.

**უჯმაჯურიძეს** ნადეჟდა ნოეს ასულს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული IV მთავარი სამმართველოს ქობულეთის სანატორიუმ „საქართველოს“ უფროს ბუღალტერს.

**წკირიას** ვენერა სიმონის ასულს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული IV მთავარი სამმართველოს გაგრის სანატორიუმ „თბილისის“ მთავარ ბუღალტერს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“

**ჯარიაშვილს** იოსებ გიორგის ძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის ვაქცინებისა და შრატების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ტექნიკური ზედამხედველობის ჯგუფის ხელმძღვანელს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი“

**რევაზიშვილს** შალვა ანდრიას ძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საკურორტო სამმართველოს საგეგმო-საფინანსო განყოფილების გამგეს.

„საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკი“

**ხოშაბაევს** მიხეილ ნიკოლოზის ძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული IV მთავარი სამმართველოს მძღოლს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 19 მარტი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 71 საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

ქორეოგრაფიის დარგში ნაყოფიერი საშემსრულებლო მოღვაწეობისათვის თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ბალეტის მსახიობებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ სახალხო არტისტი“

**არონბელიძეს** ნათელა შალვას ასულს

ბიბლიოთეკა

„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი“

ამონაშვილს ზაქარია მიხეილის ძეს
გორიაშვილს სვეტლანა ანატოლის ასულს
მაღალაშვილს ნუგზარ რევაზის ძეს
მახარაძეს მარიამ კონსტანტინეს ასულს
ტერეშჩენკოს სერგი დენისის ძეს
ჯულუხაძეს ვლადიმერ ალექსის ძეს

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 29 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**72** საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისა და ნაყოფიერი საშემსრულებლო საქმიანობისათვის თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ქუთაისის ფილიალის მსახიობებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე“

გუმბერიძეს ელგუჯა აგაფონის ძეს — ბალეტმეისტერს.
მაჭავარიანს ავთანდილ ბიქტორის ძეს — მთავარ ქორმეისტერს.
ხურცილავას რევაზ იასონის ძეს — მთავარ დირიჟორს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი“

ლომთაძეს გიორგი ემელიანეს ძეს — მსახიობს.
მამუკელაშვილს ალექსანდრე დავითის ძეს — მსახიობს.
ფხაკაძეს ამირან დავითის ძეს — მსახიობს.
ქუთათელაძეს იუზა ბესარიონის ძეს — მსახიობს.
ღოღობერიძეს შალვა ვლადიმერის ძეს — მსახიობს.
ყუბლაშვილს ვაჟა ვარლამის ძეს — მსახიობს.
ჭურღულიას ანატოლი ალექსის ძეს — მსახიობს.

„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“

გუმბერიძეს აგაფონ აგაფონის ძეს — თეატრის დირექტორის მოადგილეს.
მეძმარიაშვილს ფრიდონ ნიკოლოზის ძეს — მსახიობს.
მურღულიას რევაზ სერგოს ძეს — სცენის მემანქანეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ნიკოლაძეს** თინათინ კალისტრატეს ასულს — მსახიობს.
**ნიქაბაძეს** მედეა დავითის ასულს — მსახიობს.
**ოცხელს** იოსებ კონსტანტინეს ძეს — მსახიობს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1982 წლის 30 მარტი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 73 საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ღონისძიებათა და მასობრივ სახალხო დღესასწაულთა მომზადებასა და ჩატარებისათვის გაწეული ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**„საქართველოს სსრ სახალხო არტისტი"**

**მირცხულავას** ლევან გერმანეს ძეს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მთავარ რეჟისორს.

**„საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი"**

**ლითანიშვილს** ოთარ ანტონის ძეს — ქ. თბილისის მთავარ მხატვარს.

**„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე"**

**აბაშიძეს** თეიმურაზ გიორგის ძეს — თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო რუსული თეატრის მთავარ რეჟისორს.

**ბათიაშვილს** გიორგი ირაკლის ძეს — თბილქალაქპროექტის სახელოსნოს ხელმძღვანელს.

**თოდაძეს** გიორგი ნიკოლოზის ძეს — თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის რეჟისორს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი"**

**არჩვაძეს** ვლადიმერ ვასილის ძეს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მედუდუკეთა ანსამბლ „სოინარის" მსახიობს.

**ძიძიგურს** ამბროსი ივანეს ძეს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მედუდუკეთა ანსამბლ „სოინარის" მსახიობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“

**შამუგიას** ვალერიან მიხეილის ძეს — უსინათლოთა რესპუბლიკური საზოგადოების კულტურის სახლის დირექტორს.

**ჭელიძეს** ლავრენტი გრიგოლის ძეს — საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის ხმის რეჟისორს.

**ხუბაშვილს** მიხეილ იოსების ძეს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბის მხატვარ-რეტუშორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 30 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 74 ამხ. მ. ტ. სანიკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით „საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტის მმართველის მოადგილე ამხ. მიხეილ ტარასის ძე **სანიკიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 5 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 75 ამხ. ნ. ლ. მარდალეიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით სკკპ წევრი 1920 წლიდან, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი ამხ. ნინო ლევანის ასული **მარდალე-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**იშვილი** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 10 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 76 გეგეჭკორის № 1 საშუალო სკოლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაარსების 150-ე წლისთავთან დაკავშირებით **გეგეჭკორის № 1 საშუალო სკოლა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 11 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 77 ამხ. ა. ნ. ჩიტრიკაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი მუშაობისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების ინსტრუქტორი ამხ. ალექსი ნიკოლოზის ძე **ჩიტრიკაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 11 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 78 ამხ. ყ. ს. გაგაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მეცხოველეობაში ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სოციალისტური შრომის გმირი, ახალგაზრდობის დამრიგებელი, დუშეთის რაიონის სოფელ მლეთის კოლმეურნეობის მეცხვარე ამხ. ყარამან სიმონის ძე **გაგაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1982 წლის 16 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 79 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობები:

**გედენიძე** ზაურ ალექსანდრეს ძე — სადადგმო ნაწილის გამგე.
**თეთრაძე** ნუნუ ილიას ასული — მსახიობი.
**კეჟაყმაძე** ნაზი ქრისტეფორეს ასული — მსახიობი.
**მგელაძე** აკაკი დიომიდეს ძე — მსახიობი.
**საკანდელიძე** ნინო მიხეილის ასული — მსახიობი.
**სულხანიშვილი** თამარ ნიკოლოზის ასული — მსახიობი.
**წერეთელი** ნათელა კალისტრატეს ასული — მსახიობი.
**ხინიკაძე** მერაბ მამედის ძე — მსახიობი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1982 წლის 17 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 80 ამხ. ა. ნ. გოგუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ნაყოფიერი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი ალექსი ნოეს ძე გოგუა დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 17 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 81 ამხ. ლ. ვ. გუნიავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის ბუნების დაცვის საქმეში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს მონადირეთა და მებადურთა კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ლევან ვლადიმერის ძე გუნიავა დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 17 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 82 ამხ. ტ ზ. დუნენკოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ტატიანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლის ასული **დუნენკო** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 17 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 83 ამხ. ბ. ნ. ვინოგრადოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, მშრომელთა სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში აქტიური მონაწილეობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით თბილისის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების უფროსი, თადარიგის გენერალ-ლეიტენანტი ბორის ნიკოლოზის ძე **ვინოგრადოვი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 17 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 84 ამხ. ო. გ. თუხარელის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაპროექტებისა და მშენებლობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით თბილისის საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების ტიპობრივი და ექსპერიმენტული დაპროექტების ზონალური სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტის დირექტორი ამხ. ოთარ გიორგის ძე **თუხარელი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 17 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 85 ამხ. ა. გ. კაპანაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის ორგანოებსა და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ლაგოდეხის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ავთანდილ გრიგოლის ძე **კაპანაძე** დააჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1982 წლის 17 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 86 ამხ. გ. ვ. ლობჟანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ონის რაიკომის მდივანი ამხ. გიორგი ვასილის ძე **ლობჟანიძე** დააჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1982 წლის 17 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 87 ამხ. ვ. ვ. სახოკიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორგანოებსა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის აპარატში ხანგრძლივი ნაყოფიერი საქმიანობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის პირველი განყოფილების უფროსი ამხ. ვასილ ვლადიმერის ძე **სახოკია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 17 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 88 ამხ. გ. შ. ჯორბენაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორგანოებში კეთილსინდისიერი ნაყოფიერი მუშაობისათვის გენერალ-მაიორი გივი შალვას ძე **ჯორბენაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 17 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 89 ამხ. ე. ბ. არუთინოვას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ოთხმოცი წელთან დაკავშირებით სკკპ წევრი 1921 წლიდან, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი ამხ. ეკატერინე ბოგდანის ასული **არუთინოვა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 18 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 90 ამხ. ნ. ლ. ჩოჩიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი ამხ. ნათელა ლეონტის ასული **ჩოჩია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 18 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 91 თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამედიცინო კადრების მომზადებისა და აღზრდის, სამედიცინო მეცნიერების განვითარების საქმეში გაწეული ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაარსების 50 წელთან დაკავშირებით **თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 19 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 92 თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამედიცინო მეცნიერების დარგში, სამეცნიერო და პრაქტიკული კადრების აღზრდა-მომზადების საქმეში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დაარსების 50-ე წლის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ ინსტიტუტის მუშაკები:

**ასათიანი** არჩილ ვლადიმერის ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პრორექტორი სამეცნიერო მუშაობაში.

**ბახტაძე** გივი გრიგოლის ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ჰოსპიტალური თერაპიის კათედრის გამგე.

**გოგიბერიძე** ოქროპირ გიორგის ძე — დოცენტი, ინტერნატურისა და საწარმოო პრაქტიკის დეკანი.

**გრიგალაშვილი** მარიამ ნიკოლოზის ასული — დოცენტი, სტომატოლოგიური ფაკულტეტის დეკანი.

**დათეშიძე** მეგი გრიგოლის ასული — ფიზიოლოგიის კათედრის დოცენტი.

**დუმბაძე** გივი გრიგოლის ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის დირექტორი.

**თოიძე** შალვა სამსონის ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერატიული ქირურგიის კათედრის გამგე.

**კვანჭახაძე** გივი შალვას ძე—მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სანიტარიულ-ჰიგიენური ფაკულტეტის დეკანი.

**მახარაძე** რომან ვლადიმერის ძე — ფარმაცევტული ფაკულტეტის დეკანი.

**უვანია** გივი ალექსანდრეს ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პედიატრიის ფაკულტეტის დეკანი.

**ტატიშვილი** გურამ გიორგის ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პედიატრიის, სანიტარიულ-ჰიგიენური და სტომატოლოგიური ფაკულტეტების ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის გამგე.

**ღამბაშიძე** რუსუდან არჩილის ასული — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ჰოსპიტალური თერაპიის სუბორდინატორთა კათედრის პროფესორი.

**ქუთათელაძე** ელენე ალექსანდრეს ასული — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბიოქიმიის კათედრის გამგე.

**ჩიჯავაძე** მერაბ ლონგინოზის ძე — მიკრობიოლოგიის კათედრის დოცენტი.

**ჭუმბურიძე** ბიძინა ისაკის ძე — ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ფარმაცევტული ქიმიის კათედრის გამგე.

**ხოჭავა** ალექსი ილარიონის ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბავშვთა ინფექციურ დაავადებათა კათედრის გამგე.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1982 წლის 19 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 93 ამხ. ი. მ. თოიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში დიდი წვლილისათვის და დაბადების ოთხმოცი წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი ირაკლი მოსეს ძე თოიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 24 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 94 ამხ. ჯ. ა. კვარაცხელიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის კომკავშირულ და პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათი წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების სექტორის გამგე ამხ. ჯუანშერ ალექსანდრეს ძე კვარაცხელია დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 26 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 95 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ქუთაისის ფილიალის მუშაკები:

**ასათიანი** ვახტანგ გიორგის ძე — სადადგმო ნაწილის გამგე.

**არსენიძე** თეიმურაზ აბესალომის ძე — მთავარი მხატვარი.

**ტორონჯაძე** ნიკოლოზ სიმონის ძე — თეატრის დირექტორი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1982 წლის 29 მარტი.

## განყოფილება მესამე

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

1982 წლის 31 მარტს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მეათე წლისთავთან დაკავშირებით რესპუბლიკის კომუნისტებისადმი, ყველა მშრომელისადმი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილიდან გამომდინარე სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ამოცანების შესახებ" საკითხის განხილვისას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ წარსულის შეცდომებისა და ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად განხორციელებული პოლიტიკური და ორგანიზატორული აქციების შედეგად განვლილი ათი წლის მანძილზე რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით საგრძნობლად გააქტიურდა სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობა, ამაღლდა მათი როლი ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ მშენებლობაში, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების დაცვის საქმეში.

არსებითად შეიცვალა ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის შინაარსი და ფორმები, გაძლიერდა მისი გავლენა საბჭოების საქმიანობის ყველა მხარეზე, მეტი ყურადღება ეთმობა საბჭოების მუშაობაში დემოკრატიზმის პრინციპებისა და საჯაროობის განვითარების პრობლემებს.

ამასთან, როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილშია მითითებული, სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს, — ყველგან არ არის დაძლეული ფორმალიზმი მათ საქმიანობაში; მთელ რიგ საბჭოებში ჯერ კიდევ დაბალია ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის ეფექტიანობის დონე, სუსტია კონტროლი საბჭოთა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ კანონების

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაცვისა და განხორციელებისადმი; შემდგომ სრულყოფას საჭიროებს საბჭოების სესიათა საქმიანობა, მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფების, საგუშაგოების, მიკრორაიონთა საბჭოების და მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მუშაობა.

სერიოზული ამოცანებია გადასაწყვეტი საშემსრულებლო-განმკარგულებელი ორგანოებისა და საბჭოთა სახელმწიფო აპარატის მუშაობის სტილისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფისათვის, მათ საქმიანობაში ჯერ კიდევ არსებული ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის საბოლოო დაძლევის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავის დადგენილებით შესაბამისი დავალებანი მისცა აფხაზეთის ასს და აჭარის ასს რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებს.

* * *

პრეზიდიუმის სხდომამ მოისმინა რა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. პ. გილაშვილის ინფორმაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ სასოფლო-სამეურნეო წარმოებისადმი ხელმძღვანელობისათვის საქართველოს სსრ აბაშის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს მუშაობის გამოცდილების განხილვის შედეგების შესახებ, აღნიშნა, რომ „სასოფლო-სამეურნეო წარმოებისადმი ხელმძღვანელობისათვის საქართველოს სსრ აბაშის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოსა და ლატვიის სსრ ტალსინის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს მუშაობის გამოცდილების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 10 მარტის დადგენილებას დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო წარმოებისადმი სახალხო დეპუტატთა საბჭოების ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფისათვის და იგი ხელს შეუწყობს საბჭოების როლის ამაღლებას სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, სამეურნეო და სოციალური ამოცანების კომპლექსურ გადაწყვეტასა და სასურსათო პროგრამის განხორციელებაში.

მოიწონა რა აბაშის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოსა და რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების მიერ გაწეული დადებითი მუშაობა, რომლის შედეგად მიღწეულია თვალსაჩინო წარმატებები ეკონომიკის განვითარებასა და სოფლის მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებაში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამასთან ერთად აღნიშნა, რომ აბაშის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭო ჯერ კიდევ სრულად ვერ ახორციელებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის უფლებამოსილებას, აგრეთვე ვერ იყენებს აგროსამრეწველო გაერთიანების შესაძლებლობებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ეკონომიკური მუშაობის დონის ასამაღლებლად და ა. შ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და მინისტრთა საბჭოს მიიღონ ზომები სოფლის მეურნეობის და აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა დარგისადმი ხელმძღვანელობისათვის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუშაობის დონის შემდგომ ასამაღლებლად.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 10 მარტის დადგენილებას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების რიგგარეშე სესიების ჩატარებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აღნიშნული დადგენილების შესასრულებლად და რაიონში (ქალაქის ზონაში) სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანების შექმნასთან დაკავშირებით საბჭოების ამოცანების განსაზღვრის მიზნით.

„სასოფლო-სამეურნეო წარმოებისადმი ხელმძღვანელობისათვის საქართველოს სსრ აბაშის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოსა და ლატვიის სსრ ტალსინის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს მუშაობის გამოცდილების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 10 მარტის დადგენილებისა და „სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების რიგგარეშე სესიების ჩატარების შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის 23 მარტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ „სასოფლო-სამეურნეო წარმოებისადმი ხელმძღვანელობისათვის საქართველოს სსრ აბაშის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოსა და ლატვიის სსრ ტალსინის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს მუშაობის გამოცდილების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ და განუხრელად შესასრულებლად.

სათანადო დავალებანი მიეცათ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო (სასოფლო-სამეურნეო წარმოების მქონე) საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

*

* *

მოისმინა და განიხილა რა ქალაქ თბილისის მიკრორაიონთა საბჭოების მუშაობის შესახებ სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. გ. გაბუნიას ინფორმაცია, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ არსებობის მანძილზე ქ. თბი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისის მიკრორაიონთა საბჭოებმა უკვე დაგროვეს მუშაობის დადებითი გამოცდილება, აქტიურად უწყობენ ხელს ადგილებზე მრავალი სოციალურ-საყოფაცხოვრებო საკითხის წარმატებით გადაწყვეტას, უზრუნველყოფენ სახელმწიფო მართვის საქმეში მოსახლეობის მონაწილეობას.

მიკრორაიონთა საბჭოების ინიციატივით მიმდინარეობს მიკრორაიონის ტერიტორიის კეთილმოწყობა, შენდება სპორტული მოედნები, საზოგადოებრივ საწყისებზე იქმნება სხვადასხვა წრეები, სპორტული სექციები, ბიბლიოთეკები, ეწყობა კონკურსი საუკეთესო ეზოს, სახლისა და ქუჩისათვის; რეგულარულად ტარდება მოქალაქეთა კრებები, რომლებზეც იხილავენ სოციალისტური თანაცხოვრების წესების დაცვის, მოზარდთა აღზრდის, ლოთობის, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს და სხვ.

მიკრორაიონთა საბჭოები აქტიურად მონაწილეობენ არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის აცილების, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისაგან თავის ამრიდებელ პირთა გამოვლენისა და შრომითი მოწყობისათვის პროფილაქტიკური მუშაობის ჩატარებაში. ისინი ხელს უწყობენ სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს წარსულის მავნე გადმონაშთების აღმოფხვრასა და ახალი ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებათა დანერგვაში.

მიკრორაიონთა საბჭოებმა უკვე მოიპოვეს ფართო აღიარება და მოქალაქენი სულ უფრო ხშირად მიმართავენ მათ სხვადასხვა საკითხებზე, რაც ხელს უწყობს მათი წერილებისა და წინადადებების უფრო ოპერატიულად განხილვას და სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს ათავისუფლებს ისეთი საკითხების მოგვარებისაგან, რომელთა გადაწყვეტა შესაძლებელია მიკრორაიონთა საბჭოების ძალებით.

მიუხედავად ამისა მიკრორაიონთა საბჭოებს საქმიანობაში აქვთ ნაკლოვანებანიც.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სხდომაზე განიხილა აგრეთვე საკითხები: საქართველოს სსრ მშრომელთა 1982 წლის სოციალისტური ვალდებულებების შესრულების საქმეში სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ამოცანების შესახებ, საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევნებისათვის მზადების მდგომარეობის თაობაზე, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოებისადმი ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფის ზოგიერთი ორგანიზაციული საკითხის შესახებ, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისაგან თავის ამრიდებელ პირთა წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომი გაძლიერების ღონისძიებათა თაობაზე და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ცვლილებები ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 31 მარტის ბრძანებულებით ბოლნისის რაიონის თამარისის მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობასთან დაკავშირებით ახლად წარმოქმნილი დასახლება მიეკუთვნა ქალაქის ტიპის დასახლებათა ჯგუფს და ეწოდა მას დაბა თამარისი.

შეიქმნა თამარისის სახალხო დეპუტატთა სადაბო საბჭო, ცენტრით დაბა თამარისში.

არუხლოს სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები ქოლაგირი და პატარა მუღანლო და მიეკუთვნა თამარისის სახალხო დეპუტატთა სადაბო საბჭოს; სოფელ ქოლაგირიდან და პატარა მუღანლოდან არუხლოს სასოფლო საბჭოში. არჩეულ დეპუტატებს შეუნარჩუნდათ რწმუნებანი თამარისის სადაბო საბჭოში.